


შპს გრლ ტრანს მ ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ლარებში

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება აქტივები	შენიშვნა	31 დეკ 2023	31 დეკ 2022
მიმდინარე აქტივები		11628	150840
სავაჭრო მოთხოვნები და სხვა მოთხოვნები		219387	273838
სხვა პირებზე ავანსებად და სესხებად გაცემული ფულადი სახსრები			10794
სხვა მატერიალური ფასეულობები		6339	9676
სულ მიმდინარე აქტივები		237354	445148
გრძელვადიანი აქტივები			
ძირითადი საშუალებები		1176070	1132870
სხვა არამატერიალური აქტივები		5939	6987
სულ გრძელვადიანი აქტივები		1182009	1139857
სულ აქტივები		1419363	1585005
ვალდებულები და საკუთარი კაპიტალი			
სავაჭრო ვალდებულებები		6	1027
სხვა ვალდებულებები		3448	-
საგადასახადო ვალდებულებები		-	9133
სულ მიმდინარე ვალდებულებები		3454	10160
საკუთარი კაპიტალი		1415909	974400
საწესდებო კაპიტალი		1415909	600445
სულ საკუთ. კაპიტალი და ვალდებულებები		1419363	1585005
სულ მოკლევადიანი აქტივები		236812	434816

თ.ვასაძე



შპს გრლ ტრანს მ სრული მოგება ზარალის უწყისი 2023 წლის 31 დეკემბრის
მდგომარეობით

საოპერაციო შემოსავალი	2022	2023
შემოსავალი მომსახურების გაწევიდან	3481674	3350907
სხვა შემოსავალი	23644	12288
შემოსავალი სულ	3505318	3363195
ადმინისტრაციული ხარჯი		
ცვეთა და ამორტიზაცია	226706	263372
მივლინების ხარჯები	280163	352763
შრომის ანაზღაურება	329046	490828
იჯარა	180000	180000
დაზღვევა	54934	58240
სულ ადმინისტრაციული ხარჯი	1070849	1345203
საოპერაციო ხარჯები		
საწვავის ხარჯები	855372	709113
საექსპლუატაციო ხარჯები	139983	126320
გზის ხარჯები	212432	177980
სხვა საერთო ხარჯები	316638	385253
საოპერაციო ხარჯები სულ	1524425	1398666
ხარჯები სულ	2595274	2743869
მოგება დაბეგვრამდე	910044	619326
მოგების გადასახადი	146370	182966
მოგება დაბეგვრის შემდეგ	763674	436360

თ.ვასაძე



შპს გრლ ტრამს მ

ფინანსური ანგარიშგება

2023 წლის 31 დეკემბერი

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება	3
სრული შემოსავლის ანგარიშგება	4
განმარტებითი შენიშვნები	5
ბოლო გვერდი	11

შპს „გრელ ტრანს მ“

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით
ლარებში

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება აქტივები მიმდინარე აქტივები	შენიშვნა	31-დეკ-23	1-იან-23
ფულადი სახსრები	3	11628	150840
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	4	219387	273838
გადახდილი ავანსები	5		
სასაქონლო-მატერიალური ფასეულობები	6	6339	9676
სხვა პირებზე ავანსებად გაცემული ფულადი სახსრები			10794
სულ მიმდინარე აქტივები		237354	445148
გრძელვადიანი აქტივები			
ძირითადი საშუალებები	7	1176070	1132870
არამატერიალური აქტივები		5939	6987
სულ გრძელვადიანი აქტივები		1182009	1139857
სულ აქტივები		1419363	1585005
ვალდებულებები და საკუთარი კაპიტალი			
მიმდინარე ვალდებულებები			
		6	1027
სავაჭრო ვალდებულებები			
საგადასახადო ვალდებულებები			9133
სხვა ვალდებულებები		3448	
სულ მიმდინარე ვალდებულებები		3454	-
სულ ვალდებულებები		3454	10160
საკუთარი კაპიტალი			
საწესდებო კაპიტალი		1415909	974400
გაუნაწილებელი მოგება		-	600445
სულ საკუთარი კაპიტალი		1415909	1574845
სულ ვალდებულებები და საკუთარი კაპიტალი		1419363	1585005

ხელმომწერი პირი:

დირექტორი

თამარ ვასაძე



შპს „გრლ ტრანსმ“

სრული შემოსავლების ანგარიშგება 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით
ლარებში

მოგება-ზარალის ანგარიშგება	შენიშვნა	2023	2022
ამონაგები	9	3363195	3505318
რეალიზებული საქონლის თვითღირებულება		(-)	(-)
საერთო მოგება		3363195	3505318
ადმინისტრაციული ხარჯი	10	(-1345203)	(-1070849)
საოპერაციო ხარჯები		(-1398666)	(-1524425)
მოგება დაბეგვრამდე		619326	910044
მოგების გადასახადის ხარჯი		182966	146370
წმინდა ზარალი/მოგება		436360	763674

ხელმოწერილი პირი:

დირექტორი

მ. ვასაძე



1. შესავალი

კომპანია და მისი საქმიანობა

შპს „გრელ ტრანსმ“ არის შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება (ს/კ 248425404), რომელიც დაფუძნებულია და მდებარეობს საქართველოში 2006 წლის 16 ივნისიდან, საქართველოს კანონმდებლობის და დებულებების შესაბამისად. ფაქტიური მისამართია: ქ. ბათუმი, გ.ლეონიძის ქ.27

კომპანიის ყოველდღიურ საქმიანობას წარმართავს კომპანიის დირექტორი - **თამარ ვასაძე**. შპს **გრელ ტრანსმ** -ს საქმიანობას წარმოადგენს საერთაშორისო სატრანსპორტო გადაზიდვის მომსახურება და საკუთარი ან იჯარით აღებული არასაცხოვრებელი შენობების გაქირავება და მართვა **წარმოდგენილი ანგარიშის ვალუტა**

კომპანიის ფუნქციონალურ ვალუტას წარმოადგენს საქართველოს ეროვნული ვალუტა - ქართული ლარი (GEL). ოპერაციები უცხოურ ვალუტაში, თავდაპირველად ჩაიწერება ფუნქციონალურ ვალუტაში ოპერაციის დღისთვის საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ განსაზღვრული კურსით. ანგარიშის პერიოდისთვის უცხოურ ვალუტაში არსებული ფულადი აქტივები გადაიყვანება ფუნქციონალურ ვალუტაში საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი წლის ბოლოს არსებული კურსით. ანგარიშსწორებისას წარმოქმნილი ყველა საკურსო სხვაობა აისახება მოგება-ზარალზე.

უცხოური ვალუტის მონეტარული ნაშთების კონვერტირებისათვის გამოყენებული გაცვლითი კურსები არის შემდეგი:

	31-დეკ-23	31-დეკ-22
1 USD/GEL	2.6894	2.7020
1 EUR/GEL	2.9753	2.8844

2. მომზადების საფუძვლები და სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები

მომზადების საფუძვლები

შესაბამისობის პრინციპი

აღნიშნული ფინანსური ანგარიშგებები მომზადებულია ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპის დაშვებით და ფინანსური აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების მცირე და საშუალო საწარმოების (IFRS for SME) 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ძალაში მყოფი საერთაშორისო სააღრიცხვო სტანდარტების საბჭოს (IASB) მიერ გამოცემული სტანდარტების და ინტერპრეტაციების შესაბამისად. ეს არის კომპანიის მიერ პირველად მომზადებული ფინანსური ანგარიშგებები.

ფინანსური ანგარიშგებები შედგება 2022 და 2023 წლის სრული შემოსავლის ანგარიშგების, 2022 და 2023 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგების და განმარტებითი შენიშვნებისგან.

შეფასების საფუძველი

შეფასების საფუძვლად გამოყენებულია ისტორიული ღირებულების საფუძველი. გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც ქვემოთ მოცემული სააღრიცხვო პოლიტიკით სხვაგვარად არის განსაზღვრული.

ფუნქციონირებადი საწარმოს დაშვება

მენეჯმენტმა მოამზადა აღნიშნული ფინანსური ანგარიშგებები ფუნქციონირებადი საწარმოს განგრძობითობის რისკის დაშვებით. აღნიშნული გადაწყვეტილების მისაღებად მენეჯმენტმა გაითვალისწინა კომპანიის ფინანსური მდგომარეობა, მიმდინარე გეგმები, ფულადი სახსრების მოძრაობა, კომპანიის ოპერაციების წამგებიანობა და საჭიროების შემთხვევაში ადგილობრივ ფინანსურ რესურსებზე წვდომა, ანგარიშის პერიოდის შემდგომ მინიმუმ 12 თვის განმავლობაში.

აქტივების გაუფასურება

ყოველი საანგარიშგებო თარიღისათვის ტარდება ძირითადი საშუალებების, არამატერიალური აქტივებისა და მეკავშირე საწარმოებში განხორციელებული ინვესტიციების განხილვა, რათა დადგინდეს, არსებობს თუ არა რაიმე ნიშანი იმისა, რომ აღნიშნული აქტივები გაუფასურებულია. თუ არსებობს შესაძლო გაუფასურების მაჩვენებელი, ხდება აქტივის (ან დაკავშირებულ აქტივთა ჯგუფის) ანაზღაურებადი ღირებულების შეფასება და შედარება მის საბალანსო ღირებულებასთან. იმ შემთხვევაში თუ შეფასებული ანაზღაურებადი ღირებულება ნაკლებია, საბალანსო ღირებულება მცირდება მის შეფასებულ ანაზღაურებად ღირებულებამდე, და გაუფასურების ზარალი აღიარდება დაუყოვნებლივ მოგებაში ან ზარალში.

ანალოგიურად, ყოველი საანგარიშგებო თარიღისთვის, მარაგები ფასდება გაუფასურებაზე, თითოეული მარაგის ელემენტის (ან მსგავსი მარაგების ჯგუფის) საბალანსო ღირებულების შედარებით გასაყიდ ფასთან, რომელიც შემცირებულია პროდუქციის დასრულებისა და გაყიდვისთვის საჭირო დანახარჯებით. თუ მარაგი (ან მსგავსი მარაგების ჯგუფი) გაუფასურებულია, საბალანსო ღირებულება მცირდება მისი დასრულებისა და გაყიდვისთვის საჭირო დანახარჯებით შემცირებულ გასაყიდ ფასამდე, და გაუფასურების ზარალი დაუყოვნებლივ აღიარდება მოგებაში ან ზარალში.

იმ შემთხვევაში, თუ შემდგომში მოხდება გაუფასურების ზარალის კომპენსირება, აქტივის (ან მსგავსი აქტივების ჯგუფის) საბალანსო ღირებულება გაიზრდება აქტივის ანაზღაურებადი ღირებულების (მარაგების შემთხვევაში - პროდუქციის დასრულებისა და გაყიდვისთვის საჭირო დანახარჯებით შემცირებული გასაყიდი ფასის) შესწორებულ შეფასებულ სიდიდემდე, მაგრამ არ გაიზრდება იმ თანხაზე მეტად, რომელიც განისაზღვრებოდა იმ შემთხვევაში, თუ წინა წლებში არ მოხდებოდა აქტივის (ან მსგავსი აქტივების ჯგუფის) გაუფასურების ზარალის აღიარება. გაუფასურების ზარალის კომპენსირების თანხა დაუყოვნებლივ აღიარდება მოგებაში, ან ზარალში.

ფული და ფულის ექვივალენტები

ფული და ფულის ექვივალენტები მოიცავს ნაღდ ფულს და ფულს ბანკში და ატარებს ღირებულების ცვლილების უმნიშვნელო რისკს. ფულადი საშუალებები აღირიცხება ამორტიზირებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო განაკვეთის გამოყენებით. შეზღუდული ნაშთები გამოირიცხება ფულადი საშუალებებისგან ფულადი ნაკადების ანგარიშგების მიზნებისთვის. შეზღუდული ნაშთები რომელთა გამოყენება არ შეიძლება 12 თვის განმავლობაში ვალდებულებების დასაფარად ან სხვა გაცვლითი ტრანზაქციებში გამოყენებისაგან აღიარდება ბალანსზე როგორც სხვა გრძელვადიანი მოვლენები.

ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალებების მუხლები ფასდება თვითღირებულებით, რომელსაც დაკლებული აქვს ცვეთა და დაგროვილი გაუფასურების ზარალი.

ცვეთის დარიცხვა ხდება ნარჩენი ღირებულებით შემცირებული აქტივების თვითღირებულების განაწილების მიზნით მათი სავარაუდო სასარგებლო მომსახურების ვადაზე, წრფივი მეთოდის გამოყენებით. ძირითად საშუალებებზე ცვეთის დასარიცხად გამოიყენება შემდეგი წლიური განაკვეთები:

შენობა-ნაგებობები	5%
მანქანა-დანადგარები	10-20%
ოფისის აღჭურვილობა და სხვა ინვენტარი	20%
სატრანსპორტო საშუალებები	7-20%

თუ არსებობს რაიმე ნიშანი იმისა, რომ ცვეთის ნორმა, აქტივის სასარგებლო მომსახურების ვადა, ან ნარჩენი ღირებულება მნიშვნელოვნად შეიცვალა, ახალი მოლოდინის ასახვის მიზნით, მოცემული აქტივის ცვეთა შესწორდება პერსპექტიულად.

ამონაგების აღიარება

ამონაგები მომსახურების რეალიზაციიდან მაშინ აღიარდება ყოველი თვის ბოლო რიცხვით.

მოგების გადასახადი

მოგების გადასახადის ხარჯი წარმოადგენს მიმდინარე საგადასახადო ვალდებულებას. მიმდინარე საგადასახადო ვალდებულება ეფუძნება წლის განმავლობაში განაწილებულ დასაბეგრ მოგებას.

მარაგები

მარაგების თვითღირებულება გამოითვლება საშუალო შეწონილი მეთოდით.

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

ძირითადად გაყიდვები ხორციელდება სტანდარტული საკრედიტო პირობებით და მოთხოვნებს პროცენტი არ ერიცხება. იმ შემთხვევაში თუ საკრედიტო ვადა აღემატება სტანდარტულ საკრედიტო ვადას, მოთხოვნების შეფასება ხდება ამორტიზებული ღირებულებით, ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით. თითოეული საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს, სავაჭრო და სხვა მოთხოვნების საბალანსო ღირებულება უნდა გადაიხედოს, რათა მოხდეს იმის განსაზღვრა არსებობს თუ არა ობიექტური მტკიცებულება იმისა, რომ მოთხოვნები არ არის ამოღებადი. ასეთ შემთხვევაში, გაუფასურების ზარალი დაუყოვნებლივ აღიარდება მოგებაში ან ზარალში.

სავაჭრო ვალდებულებები

სავაჭრო ვალდებულებები წარმოადგენს ვალდებულებებს, რომლებიც წარმოიქმნება სტანდარტული საკრედიტო პირობებით და ვალდებულებებს არ ერიცხება პროცენტი. უცხოურ ვალუტაში გამოსახული სავაჭრო ვალდებულებები გადაანგარიშდება საწარმოს ფულად ერთეულში, საანგარიშგებო თარიღისათვის არსებული სავალუტო კურსის მიხედვით. საკურსო სხვაობით წარმოქმნილი შემოსულობა ან ზარალი აისახება სხვა შემოსავალში ან სხვა ხარჯებში.

3. ფულადი სახსრები

ფულადი სახსრები	31 დეკემბერი 2023	31 დეკემბერი 2022
ფული ბანკში ეროვნულ ვალუტაში	2846	9366
ფული ბანკში უცხოურ ვალუტაში	850	129978
ნაღდი ფული ეროვნულ ვალუტაში	7932	496
სულ ფულადი სახსრები	11 628	150840

4. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	31 დეკემბერი 2023	31 დეკემბერი 2022
სავაჭრო მოთხოვნები	219387	273838
მოთხოვნები საწარმოს პერსონალის მიმართ	-	-
წინასწარ გაწეული ხარჯები	-	-
სულ სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	219387	273838

შპს „გრელ ტრანსპ“

შენიშვნები ფინანსურ ანგარიშგებებზე 2023 წლის 31 დეკემბერი
ლარებში

5. გადახდილი ავანსები

გადახდილი ავანსები	31 დეკემბერი 2023	31 დეკემბერი 2022
მომწოდებლებზე გადახდილი ავანსები	-	10794
სულ გადახდილი ავანსები	-	10794

6. სასაქონლო-მატერიალური მარაგები

სასაქონლო-მატერიალური მარაგები	31 დეკემბერი 2023	31 დეკემბერი 2022
სხვა მარაგები	9676	6339
სულ სასაქონლო-მატერიალური მარაგები	9676	6339

7. ძირითადი საშუალებები

	შენობა- ნაგებობები	მანქანა- დანადგარები	ოფისის აღჭურვილობა	სატრანსპორტო საშუალებები	სულ
ღირებულება					
31 დეკემბერი 2022		5001,69		1746270,05	1751271,74
შეძენა				326302,29	326302,29
გასვლა				64482,25	64482,25
31 დეკემბერი 2023		5001,69		2008090,09	2013091,88
დაგროვილი ცვეთა					
31 დეკემბერი 2022		2500,44		615901,80	618402,24
ცვეთა		247,64		262076,64	262327,28
გასული აქტივის ცვეთა				43704,84	43704,84
31 დეკემბერი 2023		2748,08		834273,57	837021,65
ნარჩენი ღირებულება					
31 დეკემბერი 2022		2501,25		30368,25	32869,50
31 დეკემბერი 2023		2253,61		75816,62	11 76070,23

8. ამონაგები

ამონაგები	2023	2022
შემოსავალი სატრანსპორტო მომსახურებიდან	2958719	3094893
სხვა საოპერაციო შემოსავალი	404476	410425
ამონაგები	3363195	3505318

9. ადმინისტრაციული ხარჯები

ადმინისტრაციული ხარჯები	2023	2022
ხელფასის ხარჯი	490828	329046
იჯარის ხარჯი	180000	180000
დაზღვევა	58240	54934
ცვთა და ამორტიზაცია	263372	226706
მივლინების ხარჯი	352763	280163
სხვა საერთო ხარჯი		
სულ ადმინისტრაციული ხარჯები	1345203	1070849

10. საანგარიშგებო პერიოდის შემდეგ მომხდარი მოვლენები

საანგარიშგებო პერიოდის შემდგომ მნიშვნელოვანი მოვლენები არ დაფიქსირებულა.

11. ფინანსური ანგარიშგების დამტკიცება

ეს ფინანსური ანგარიშგება მენეჯმენტმა და მისი გამოცემის ნებართვა გასცა 2024 წლის 30 სექტემბერს.